საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 626 2021 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

2021 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ღვინის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), საქართველოში 2021 წლის რთვლის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – რთვლის საკოორდინაციო შტაბი), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. დაევალოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-

ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციას ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული რთვლის საკოორდინაციო შტაბის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით კანდიდატურების წარდგენა სააგენტოსათვის.

3. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ღვინის კომპანიებში ყურძნის ჩაბარების პროცესში ადგილებზე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

4. ღვინის კომპანიები, რომლებსაც აქვთ განზრახული ყურძნის მიღება-გადამუშავება, ვალდებულნი არიან ელექტრონული ფორმით გაიარონ რეგისტრაცია რთვლის საკოორდინაციო შტაბში.

5. სააგენტომ უზრუნველყოს მე-4 პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის პირობების დადგენა.

6. ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს მის მმართველობაში არსებული შპს „მოსავლის მართვის კომპანიის მიერ“ (ს/კ: 405406109) 2021 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი საკრედიტო რესურსების მოძიება საფინანსო ინსტიტუტებიდან.

7. ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს მმართველობაში არსებულმა შპს „მოსავლის მართვის კომპანიამ“ (ს/კ: 405406109) წლის რთვლის ფარგლებში, მის მიერ შესასყიდი ყურძნის შაქრიანობის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს ყურძენში შაქრის ავტომატური მზომების შესყიდვა და შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ ყურძნის მიმღები პუნქტების აღჭურვა.

8. დაევალოს სააგენტოს ამ განკარგულების მე-7 პუნქტის უზრუნველსაყოფად „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 31 03 05) გათვალისწინებული ასიგნებებიდან შპს „მოსავლის მართვის

კომპანიის“ (ს/კ: 405406109) ანგარიშზე სუბსიდიის სახით 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის მიმართვა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშილი**